№ 209. სამშაბათი, 27 მაისი. 1896—1897 სამშაბათი, 27 მაისი № 209.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

რადგან 16 მაისს ამ წლისა დანიშნული

საზოგადო წლიური კრება

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა არ შესდგა წევრთა სამაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი, თანახმად საზოგადოეის წესდების 15 მუხლისა, ხელმეორედ დანიშნულ იქმნა 1 თიბათვისათის, კვირას, საღამოს 7 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1896 წლისა.
2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.
3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ გასავლისა 1997 ლისათვის.
4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (3—2)

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება

აზოვის ზღვაოსნობისა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლის თებერვლიდან გაიმართა **დრო-გამოშვებითი მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.**

ფასი შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.

ოდესიდან გამოდის—სამშაბათობით და პარასკეობით.
ფოთში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით.
ბათომში მოდის—ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.
ფოთიდან გადის—სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ოდესაში მოდის—კვირაობით და სამშაბათობით.

გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში, სევასტოპოლში და ევპატორიაში.

ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:

ტფილისს—საზოგადოების აგენტს ი. ბ. რივკინს, ველიამინ. ქ., 3.
ბათომს — — — ი. მ. ვარშავსკის.
ფოთს — — — ა. დ. გუგუშვილს.

ВЫСОЧ. УТВЕР. О-ВО АЗОВСК. ПАРОХОДСТВА

Срочные товаро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой.

Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**—І. Б. Рывкина, Велямин. 3. **Батумѣ**—Я. М. Варшавскаго и **Поти**—А. Д. Гугушвили.
(50—25)

ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ

ჩვენ განვიზრახეთ ცნობილ რუსის ე. ვოდოვოზოვის თხზულება
«როგორ ცხოვრობს ხალხი ქვეყანაზე»
(ინგლისელები, იტალიელები და გერმანელები)
ქართულად ვთარგმნოთ და დავსტამბოთ.

ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ეს სასარგებლო წიგნი ქარველ საზოგადოებაში გავრცელდეს. ამიტომ, ჩვენ განვიზრახეთ წინ-დაინ ხელის-მოწერით შევაგროვოთ მის გამოცემისათვის საჭირო ფული.

წიგნი სამ ტომად გამოვა, ექნება 600 **გვერდამდე**, 18—30-მდე **ურათები და ეღირება** 1 მანათი და 20 კაპ.

ვინც წინდაწინ შემოიტანს ფულს, წიგნი დაეთმობა მანათად.

გამოცემას ჰკისრულობს ამხანაგობა „გლეხი“.

ხელის-მოწერა მიიღება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში—ბ 6 ზაქ. ჭიჭინაძესთან; **გორში**—ექვთიმე კოპლატაძესთან; **ხაშურში**—სტეფანე ნოზაძესთან; **ჭიათურაში**—ერმალოზ კიწმარეიშვილთან და გერასიმე ბერიძესთან; **საჩხერეში**—იასონ ლამბაშიძესთან; **შოაპანში**—რაჟდენ გაჩეჩილაძესთან; **ზესტაფონში**—ილია მაღლაკელიძესთან, ვანო არდიშვილთან და ტრიფონ ნიორაძესთან; **ოზურგეთში**—ლადიკო ჩხაიძესთან; **ქუთაისში**—თეოფილე ხუსკივაძესთან, ბეჟანიშვილისა და ქილაძის წიგნის მაღაზიებში და მიტროფანე ლაღიძესთან; **ახალ-სენაკში**—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; **ბათომში**—მიხეილ გაჩეჩილაძესთან; **სოხუმში**—მამა ბესარიონ ხელაიასთან და ყარპეზ წეროძესთან; **გუდაუთში**—ბაგრატ მჭედლიძესთან; **ნოვოროსისკში**—სილოვან კალანდაძესთან და სხვაგან ყველა წიგნის მაღაზიებში.

პირდაპირ ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: **Батумъ, Михалу Гачечиладзе.**
(30—6)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრიტასკვიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასკვიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ზ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. კ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ზ. თოფურია.**
(წ.)

სათავად-აზნაურო თეატრი
სამშაბათს, 27 მაისს,
ახლად შემდგარი ქართულ საერო სიმღერების

ხორო

ალ. კავსაძის ლოტბარობით ახლად შეკერილ საგანგებო ქართულ ქულაჯებით გაჰმართავს

კონცერტს

ოთხის განყოფილებით და 28 სიმღერით.

ხორო შეასრულებს მხოლოდ **საქართველოს** ყველა კუთხეების საუკეთესო ხმებს: ქართლ-კახურს, გურულ-იმერულს, ფშავ-ხევსურულს, მეგრულს, ოსურს და სხვ.

დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

გამგე ხოროსი და კონცერტისა
ივ. მჭედლიშვილი.

ანონსი: 31 მაისს სად. **განჯაში** ესევე ხორო გაჰმართავს კონცერტს.

ახალი ამბავი

⁂ **ქალაქის არჩევნები.** ჩვენმა პუბლიცისტმა გეურქ-ალამ სომხის კვერი ჰამა, სომხის ქუდი დაიხურა, სომხის ჩანგი აიღო ხელში და ჩამოჰკრა ჰაიასტანის ჰანგები. „ძმობა, ერთობა“ სომხებთან!—ჰყვიროდა გულუბრყვილო გიორგი და ბოლოს... იმავე სომხებმა, 18 მაისს, მური-კი ჩამოუსვეს გეურქ-ალას და უთხრეს: ჩვენ არ გვინდა ის კაცი, რომელიც თავისიანებს ლანძღავს; ვინც თავისიანებს გაურბის, ის არც ჩვენი ერთგული იქნებაო. თუ არ ეს ფიქრი, მაშ რა იყო მიზეზი, რომ გიორგი წერეთელი, ეს ჩვენში სომხებისთვის წამებული, სომხებშიც აბრუ-გატეხილი აღმოჩნდა. სწორედ ლამურას ამბავი დაემართა გეურქ-ალას, აკაკის იგავში რომ არის.

აბა, რა უნდოდა საწყალს, „მარგალის-კუას“ ნამდვილი მჭადი არ ერჩივნა გეურქ ალობის მოჩვენებულ ნაზუქებს?

მაგრამ ავი კაცი აღდგომასაც ავიაო; ამისი არ იყოს, ზანგივით გაშავებული გიორგი წერეთელი ისევ და ისევ იმათ ჩანგზე ჰგალობს: ეს იმიტომ მოხდაო, რომ სომხების ახალგაზდათა პარტიას არ შევუერთდითო.

რამდენად სანდონი იყვნენ სომხების პარტიები და მათი აღთქმანი, ცხადია აი თუნდა ამ ერთის მაგალითიდან. თავ. ილია ჭავჭავაძე სომხების პარტიებმა დაასახელეს კანდიდატათ. რუს-ქართველებმაც ხომ, რასაკვირველია, დაასახელეს კიდეც და თეთრი კენჭიც მისცეს. რუს-ქართველების ხმა რომ 400 ვიანგარიშოთ (თუმცა ნამდვილად მეტი იყო) და სომხებისა 600 (ესეც მეტი იყო, თ. ილია ჭავჭავაძეს უნდა ამოსვლოდა თეთრი კენჭი 1000; 800 ანუ 700 მაინცა და მაინც. ნამდვილად-კი ამოუვიდა თეთრი 504 და შავი 559.

რას გვასწავლის ეს მაგალითი?—იმას, რომ სომხებმა მხოლოდ თვალების ასახვევად შეიტანეს სიებში ქართველების გვარები და ნამდვილად კი იმათ ბაირაღზე სწერია: მხოლოდ სომეხი და სხვა არავინ!

დროა, გეურქ ალამ გამოიღვიძოს სალათას ძილიდან.

ხოლო რაც შეხება აქაურ რუსულ-სომხურ გაზეთების ტყუილებს, ვითომც ქართველები ყველა სომხებს შავს აძლევდნენო, ამაზე ითქმის: ფიცი მრწამს და ბოლო მაკვირვებსო. განა ხსენებულმა გაზეთებმა არ იციან, რომ ქართველებსა და რუსებს სომხებისთვის შავი ეძლიათ, მაშინ არც ერთი სომეხი არ მიიღებდა 600—650 კენჭზე მეტს, ხოლო როგორც ყველამ ვუწყით, სომხები, რომელნიც ქართველების სიაში იყვნენ მოხსენებულნი, გავიდნენ 800 და 900 თეთრის კენჭით. მაშ ეგ მეტი კენჭები ვინ მისცა სომხებს, თუ არ ქართველებმა და რუსებმა?.. გაზეთში ყოველისფერი დაისტამბება, მაგრამ განა ყველაფერი დაიჯერება!

⁂ **ლატარია-ალეგრიმ,** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულმა გუშინწინ მუშტაიდში, საუცხოვოდ ჩაიარა. საზოგადოება დიდძალი დაესწრო, როგორც მაღალი წოდება, აგრეთვე მდაბიო ხალხი. ლატარიის ნივთები მეტად ბევრი იყო და ყველა ადვილად იგებდა ნივთებს, რამაც დიდად ასიამოვნა ხალხი. ლატარია-ალეგრის გამგე, ჩვენი ყოვლად პატივცემული კნეინა ოლგა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა, ჩვეულებრივ ყველგან თავდარიგობდა და მიტომ იმოდენა აუარებელ ხალხში მოგებულის ნივთების დარიგება წესითა და რიგით ხდებოდა. ალეგრის ყუთებთან იდგნენ ჩვენნი წარჩინებულნი თავად-აზნაურთა მეუღლენი და ქალნი, რომელნიც მომხიბლავის თავაზიანობით ჰყიდდნენ ბილეთებს. სეირნობა შუადღისას დაიწყო და გათავდა ღამის 11 საათზე. უეჭველია, შემოსავალიც ბევრი იქნებოდა.

⁂ **კონცერტი ი. კარგარეთელისა.** შაბათს, 24 მაისს, სათავად-აზნაურო თეატრში გაიმართა კონცერტი ქართველის მომღერალის ი. კარგარეთელისა. ხალხი ბლომად დაესწრო, უფრო-კი ქართველობა. არც საკვირველია, რომ ქართველს მომღერალს უფრო ქართველობამ სცა პატივი. ხოლო ის-კი საკვირვლად დაგვრჩა, რომ ქართველმა მომღერალმა ქართველ საზოგადოებას მომეტებულად რუსული და იტალიური სიმღერები უმღერა. ხალხი აღტაცებული დარჩა ქართულის რომანსებით და „ვაშას“ ძახილით მრავალ გზით დააჯილდოვეს ახალგაზდა მომღერალი.

⁂ **კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი** წელს ზაფხულში, როგორც ამბობენ, ინახულებ-

კავკასიის ყველა მინერალურ წყლებს და საგარაკო ადგილებს.

⁂ **ქართული დრამატიული საზოგადოების წევრთა წლიური კრება.** დღეს, საღამოს 7 საათზე, საადგილმამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია „ქართული დრამატიული საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება.

ეს რამოდენიმეჯერ არის დაინიშნა კრება, მაგრამ, წევრთა საკმაო რიცხვის მოუსვლელობის გამო, ვერ შესდგა; იმედია, ეხლა მაინც დაესწრებიან და ხელ-ახლად არ გადიდება კრება. დრო არის, ვგონებ, საზოგადოებამ მოისმინოს გამგე კომიტეტისაგან წარსული წლის ანგარიში და იმისდაგვარად ზომები მიიღოს, მომავალის სეზონისათვის მაინც წესიერად მორთოს ქართული სცენის საქმე.

⁂ **ქართული ხორის კონცერტი.** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 27 მაისს, სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია ქართული ხორო'ს კონცერტი, ბ. ა. კავსაძის ლოტბარობით და ი. მჭედლიშვილის გამგეობით. ამას წინად ამ ხორომ პირველი კონცერტი გამართა საზაფხულო თეატრში (პუშკინის ბაღი) და ხალხი ბლომად დაესწრო და ყველაც ნასიამოვნები დარჩა, როგორც გვქონდა ჩვენ აღნიშნული; იმედია, დღესაც დაესწრება ამ კონცერტს ქართველი საზოგადოება, რომელიც, უეჭველია, საკმაოდ ისიამოვნებს ხორის მწყობრის და საამო სიმღერებით.

⁂ **კავკასიაში მცხოვრებთა რიცხვი.** რუსეთის უკანასკნელი საერთო აღწერიდამ სჩანს, რომ კავკასიაში, 11 გუბერნიაში სულ 9,724,000 მცხოვრები ყოფილა. 1851 წელში მომხდარის აწერილობის შემდეგ 117°/o მცხოვრებელთა მომატებია კავკასიას; ამ 12 წლის წინედაც იყო აღწერილობა და მას მერმე 36°/o მომატებია საერთო რიცხვსა. იმავე ცნობებიდამ სჩანს, რომ ყოველ 100 მამა-კაცზე კავკასიაში 90 ქალია.

⁂ **ხელოსნების თხოვნა.** კუკიაში, მართლ მადიდებელთა სასაფლაოს მახლობლად, მალაკნების სასაფლაოს პირ-და-პირ, სამოქალაქო ადგილზე თავი მოუკრებიათ რამდენსამე ქართველ ხელოსანთა და სახლების კეთება განუძრახავთ. დღეს ამ პირებს ტფილისის გამგეობისათვის თხოვნა მიურთმევიათ და უთხოვნიათ, რომ ხსენებულს ადგილზე მათ დაეთმოთ ნება იჯარით, როგორც გადასახადი იქმნება, რომ ზედ სადგომი სახლები გააკეთონ. იმედია, რომ გამგეობა ამ თხოვნას პატიოსანის თვალით შეხედავს და რამე დაბრკოლებას არ აღმოუჩენს, რადგანაც ყველა ესენი მშრომელი ხალხია და გამგეობის გადასახადსაც ყოველთვის ადვილად გადიხდიან.

მთხოვნელთ რიცხვი თოთხმეტამდეა. ტატო ოდიაშვილი (დურგალი) კოსტ. არეშიძე (სტალიარი), ვასო მგელაძე (მეჩექმე), მიხეილ ტარიელაშვილი (სტალიარი), ზაქ. ნაბიჭვრიშვილი (სტალიარი) მიხეილ სუხაშვილი (სტალიარ), გაბო ოდიშვილი (მკერვალი), ვანო ბიბილაშვილი (სტალიარი), ივანე დოლმაზაშვილი (მეჩექმე), ვანო ჭიაფრიშვილი (დურგალი), თედო დოლმაზაშვილი (მეჩექმე) მიხ. კასრაძე (მეწვრილმანე), პეტრე პეტრიაშვილი (მეჩექმე). ყველა ამათ გვარსა და სახელს იმიტომ ვაცხადებთ, რომ თხოვნის ისტორია გამგეობის წინაშე სინამდვილით აღინიშნოს და ისიც, თუ ამოდენა ხალხს გამგეობა რა პასუხს მისცემს, თხოვნას როგორ შეხედვენ და რა მოწყალებას გაიღებენ ამ ხელოსან ხალხზე.

⁂ **მოწამლული ღვინო.** ნემენცების სასაფლაოსთან, მელვინე ოსიფოვის სარდაფში ჰყიდიან ისეთ საძაგელს წითელ ღვინოს, რაც მთლად ახალფერს წარმოადგენს. ღვინო აწითლებს პირს, ხელებს, სუფრას და მერე გულს ურევს კაცს. ასევე მომხდარა 23 მაისს, ერთ ოჯახში, საიდგანაც ეს ცნობაც მივიღეთ.

⁂ **მეყასბეთა თავ-გასულობა.** ნათქვამია: წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, სწორედ ჩვენც, ვოგზალში მცხოვრებნი ამ უბედურებაში ჩავარდნილი ვართ. აქაური მეყასბენი ისე თავ-გასულნი არიან, რომ ნიხრსაც აღარ უყურებენ და როგორც მათ ჰსურთ, ისე ასაღებენ ხორცს. იქმნება გსურთ იყიდოთ რამე კარგი ნაწილი, მაგ. სუკი, რომლის გირვანქა ღირს ორი შაური, ისინი თქვენ გიფასებთ სამ შაურად. ისიც „ხათრითაო“ გეუბნება. ნუ თუ ასეთ გარემოებას არ უნდა მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერარს, და არ უნდა აღუკრძალონ ამ ვაჟბატონებს უსინიდისო საქციელი?

⁂ **ძ. ოზურგეთი ქალაქის საყასბოს აშენება.** ჩვენის ნორჩის და მკვირცხლის თვით-მმართველობის განზრახვანი, მოქალაქეთა ინტერესების საკეთილდღეოდ მიმართულნი, უკვე სისრულეში მოდიან ცოტ-ცოტად. ოზურგეთს, სხვათა შორის, ისიც აწუხებდა, რომ დღემდე რიგიანი საყასბო არა ჰქონდა. საქონელს იქა ხოცავდნენ, სადაც მოასწრებდნენ. არავინა ზრუნავდა დაკლულის ხორცის სისუფთავისათვის, არა ჰყავდათ ბეითალი, რომ დასახოც საქონლისათვის ყურადღება მიექცია, ჭირიანისა და მავნებელ საქონლის დახოცვის ნება არავისთვის მიეცა.

ამ ჟამად ქალაქ გარედ, მდ. ბჟუჟის ნაპირას, იქ, სადაც, ეგრედ წოდებული, ბაზრის წყალი უერთდება ამ მდინარეს, ქვითკირის კედლებია ამოყვანილი მომავალის საყასბოსი. საყასბო მდინარეზეა ასე, რომ სისხლი დაკლულის საქონლისა და ყოველივე უწმინდურება, თითქმის თავისთავად ჩავა ბაზრის წყალში და იქიდამ ბჟუჟაში. ამ სახით, მომავალს საყასბოში სისუფთავე ყოველთვის იქმნება დაცული. ეს საყასბო ას თუმნამდე უჯდება თვით-მმართველობას და ამ მოკლე ხანში გათავდება. საყასბოს ზედამხედველად და ყურის მგდებლად გუბერნიის მთავრობას ბეითალიც დაუნიშნავს. ასე რომ, იმედია, მკვიდრთა სიმრთელე ამ მხრივ მალე უზრუნველ-ყოფილ იქმნება.

ჩვენის თვით-მმართველობის დაუცხრომელის ზრუნვისა და ფიქრის საგანს შეადგენს, გარდა ამისა, მდ. ბჟუჟაზე ხიდის გაკეთება. იმედია, ეს მისი განზრახვაც მალე განხორციელდება და მით სალოცავად გახდება მკვიდრთაგან თვით-მმართველობის სახელი.

⁂ **ქუთაისი. რამდენი ყმაწვილი ათავებს წლეულს აქაურს გიმნაზიას.** წელს ქუთაისის გიმნაზიას 32 ყმაწვილი კაცი ათავებს. მათში, სამწუხაროდ, მარტო 12 კაცია ქართველი. ასე მცირე რიცხვი კურს გათავებულ ქართველებისა ჯერ თავის დღეში არა ყოფილა ქუთაისის გიმნაზიაში.

⁂ **ქუთაისი. ბოქაული ბესარიონ ქვათარაძის ოპერაცია.** „ცნობის ფურცელში“ უკვე იყო მოხსენებული, რა მამაცურად აიტანა ოპერაცია ბოქაულმა ბ. ქვათარაძემ. მარჯვენა მკლავი სრულიად მოსჭრეს, ოთხის თითის დადება ღაა დარჩენილი. მხნე ბოქაული ძალიან დაუსუსტებია ჭრილობას, გამხდარია, სვენებ-სვენებით ლაპარაკობს. ნაცნობ-მეგობრები ყველა მხრიდგან მოდიან და ულოცავენ სიკვდილს გადარჩენის. სხვათა შორის, ამ დღეებში ბატონ ქვათარაძის სანახავად ბრძანდებოდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი იანოვსკი. ბ-ნმა მზრუნველმა, თითქმის ნახევარი ჟამი დაჰყო ავადმყოფთან, აქო მამაცობის და თავდადებისათვის, უსურვა მალ მორჩენა და ისევ სამსახური განგძობა. მოხუცებული ბოქაული იანოვსკის მოკითხვამა და ყურადღებამ ძალიან გაახარა.

ამ დღეებში სულ გამოეწერებ ბ-ნი ქვათარაძე საავადმყოფოდგან სადაც ექიმმა ს. თოფურიამ ყოველ ღონე იხმარა ავადმყოფის მალე მორჩენისათვის. ბ-ნი ქვათარაძე რამდენსამე თვეს შესვენებას აპირებს დ მერე განზრახვა აქვს, ისევ იკისრო სამსახური თვისის მხარის საკეთილდღეოდ. ასე ამბობს, თუ ერთი წლიწადიც როგორმე შევიძელი ძველ სენაკში სამსახური, ჩვენებურის ყაჩაღების ფარფაშს, ღვთის შეწევნით საგრძნობლად შევაკვეც ფრთასაო ღმერთმა დიდი დღე მისცეს და მშვდობით აასრულებინოს თვისი განზრახვა.

⁂ **ფოთი. ნაჭიერა ბავშვ** ფოთში მოვაჭრე ს. კვი—ძეს ჰყავ ერთი პატარა ძმა, ასე თუთხმეტი წლისა დუქანში. ეს ბავშვი იმისთანა ნიჭიერია, რომ ნამდვილი ვაჟკაცის ჭკუა აქვს. ისეთი უნდა სწავლა, რომ ენა ვერ გამოსთქვამს დ ვერც კალამი ასწერს. თავის უფროსი ძმისთვისაც ვერ გაუბედნია რომ სასწავლებელში მისცეს. ზოგჯერ ეს ბავშვი იმისთანას ამოიო რებს, რომ გულ-მოცული ზევით ამ ოსდევს- და იტყვის ხოლმე: ნეტავ ერთი წელიწადი მაინც მქნა სასწავლებელშიო და სხვა არა მინდ რაო. ჯერ ეხლაც, თუმცა არ მისწავლია არსად, არა მყოლია მასწავლებელი, მაგრამ კიდევ არ დაუვა

წესდება.

ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობის

„შუამავალისა“ *).

§ 1. ამხანაგობასა აქვს საგნად გაუჩინოს ბაზარი მწარმოებელთ და შეუმსუბუქოს ხარჯი მხმარებელთ (მყიდველთ), ე. ი. იქმნას ნამდვილი შუამავალი მწარმოებელთა და მხმარებელთა შორის.

§ 2. ამ აზრით ამხანაგობა ყიდულობს და ჰყიდის ა) ყოველსავე საგანს ადგილობრივი წარმოებისას, როგორც მაგალითად: ღვინოს, პურს, სიმინდს, ქერს, ფეტვს, მატყლს, აბრეშუმს, თამბაქოს, ზეთსა და ერბოს, ყველს, ხე-ტყეს, ხილეულს და სხვ. და ბ) ყოველსავე ნაწარმოებს რუსეთის და სხვა ქვეყნებისას, როგორც, მაგალითად: ყოველგვარს მანქანებს (მაშინებს), იარაღებს დასაკრავსა და სამუშაოს, რკინეულს, აბრეშუმეულს, მატყლეულს, ბამბეულს, შუშეულს, საციქველს სახლისას, ყოველსავე ნივთს, რაც-კი ყოველდღიურს საჭიროებას შეადგენს ჩვენს ცხოვრებაში.

§ 3. ამხანაგობას შეუძლიან მიიღოს ყოველივე ზემოხსენებული საგნები აგრეთვე კომისიითაც, ხოლო მწარმოებელს უნდა მისცეს ამისი განწესებული ბარათი (კვიტანცია) და გაყიდვის შემდეგ დაუჭიროს 5—10°/o თავისი შრომისა და შენახვის ფასად. რაიცა შეეხება პირდაპირ საშუამავლო საქმეებს და ზოგიერთს საძნელო შემთხვევებს, გამგეობას ეძლევა უფლება საქმე ურთიერთ შორის მორიგებით გაათავოს.

§ 4. დაიწყებს-რა ამხანაგობა თავის მოქმედებას, შეუძლიან თავისუფალი თანხიდგან აძლიოს მან სესხად ფული სოფლის მწარმოებელთ, ხოლო არა უმეტეს 40°/o უკვე ამხანაგობასთან მოზიდულის ჭირნახულის ფასის კვალობაზედ; სრული ანგარიშის გასწორება-კი გადაიდება მთლად ჭირნახულის გაყიდვამდე და თან, რასაკვირველია, დაცულ უნდა იქმნას § 3 ამა პირობისა. უკეთუ ამხანაგობას ექმნება უფრო მომეტებული თავისუფალი თანხა, შეუძლიან მან აძლიოს ფული სესხად სოფლის მწარმოებელთ აგრეთვე მათი მომავალის მოსავლის თავდებობითაც, ხოლო რიგი და წესი ამგვარად ფულის გაცემისა შემუშავებულ უნდა იქმნას საზოგადო კრების მიერ.

§ 5. მიიღებს რა ფულს სესხად სოფლის მწარმოებელი თავისის მოზიდულის ჭირნახულის ფასობაზედ, აძლევს იგი ამხანაგობას განწესებულ ბარათს კეთილ-საიმედო პირთა თავდებობით და კისრულობს ყოველგვარს ხარჯს, რაც-კი ამ საქმეს დასჭირდება.

§ 6. ვალი, რომელიც არ იქმნება დაბრუნებული საკომისიოდ აღებულის საქონლის გაყიდვის შემდეგ, უნდა შეივსებოდეს თამასუქის განხილებისათანავე სათადარიგო თანხიდგან.

§ 7. ამხანაგობასა აქვს ნება: ა) შეიძინოს თავის საკუთრებად ქონება უძრავი და მოძრავი, ბ) გამართოს და იქონიოს ქარხნები, სავაჭრო კონტორები, ბიუროები, სააგენტოები, საწყობები, მაღაზიები, სოფლის დუქნები, სარდაფები და სხვ. გ) იყოლიოს საკუთარი რწმუნებულნი, სხვა და-სხვა სპეციალისტნი, აგენტები, ნოქარნი და სხვანი.

§ 8. თანხა ამხანაგობისა შესდგება საწევრო გარდასახადის წილის ფულიდგან. ფასი თითო წილისა ერთი თუმანია.

შენიშვნა 1. ეს ფულები შეიძლება შემოტანილ იქმნას აგრეთვე ნაწილ-ნაწილ, ხოლო მთელი საწევრო გარდასახადი შევსებულ უნდა იყოს სამის თვის განმავლობაში.

შენიშვნა 2. როდესაც ამხანაგობა შეუდგება უკვე ნამდვილ მოქმედებას, მაშინ ამ ფულში შეიძლება მიღებულ იქმნას აგრეთვე ჭირნახული, მხოლოდ-კი ამხანაგობის გამგეობისაგან უნდა იყოს დაფასებული.

§ 9. წევრთ ფულის შეტანაში მიეცემათ ყოველ-ჯერზედ კვიტანცია გამგეობის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი, ხოლო როდესაც მთლად შევსებულ იქმნება წილი, ჩაჰბარდებათ, მათს სახელზედ გამოწერილი, ამხანაგობის წილის ბარათი, ხელმოწერილი გამგეობის თავმჯდომარისა და ორთავ წევრთაგან.

§ 10. წევრნი, რომელთაც დანიშნულ დრომდე არ შეუვსიათ წილი, გამოირიცხებიან ამხანაგობიდგან და არა უადრეს ერთის წლისა დაუბრუნდებათ უკან მათი ხვედრი ფული.

§ 11. წევრთ ამხანაგობისა არ დაუბრუნდებათ უკან წილის ფული ათ წელიწადზედ ადრე (ეს ვადა ითვლება იმ რიცხვიდგან, როდესაც გამოეწერება მათ წილის ბარათი); ხოლო ათის წლის შემდეგ შეუძლიანთ წილის პატრონთ გაიტანონ თავისი წილი ნაღდი ფული და ამგვარად დახურდავება შეიძლება მხოლოდ ერთი მეათედი წილისა, რაც-კი იმ დღემდე გაუცია ამხანაგობას.

შენიშვნა: უკეთუ წილის დახურდავების მსურველნი აღმოჩნდნენ ერთს მეათედზედ უფრო მეტნი, მაშინ რიგი მათ შორის დაიდგინება კენჭით.

§ 12. თუ ვინიცობაა წილი დაიკარგა, უნდა წილის პატრონის ხარჯით მისცეს გამგეობამ განცხადება დაკარგვის შესახებ და მხოლოდ შემდეგ გამოუწეროს მას დუბლიკატი იმავ რიცხვით და იმავე ნუმრით.

§ 13. უკეთუ მოკვდა წილის პატრონი, შეუძლიან ამხანაგობა შეისყიდოს მისი წილი ანუ აღნიშნოს იგი მის კანონიერის მემკვიდრის სახელზედ.

§ 14. წილი შეიძლება გარდაეცეს სხვას გარდაცემითი წარწერით, მაგრამ ნება-დართვით გამგეობისა, რომელმაც უნდა დაამოწმოს იგი ზედ-წარწერა.

§ 15. წევრს ამხანაგობისას, რამდენი წილის მფლობელიც უნდა იყოს, მიენიჭება უფლება მხოლოდ ერთის ხმისა თავისს საკუთარ წილში და ერთისაც სხვისის მინდობილობით.

შენიშვნა: წევრს ამხანაგობისას შეუძლიან მიანდოს უფლება თავისის ხმისა მხოლოდ ამხანაგობისვე წევრს.

§ 16. არჩევანი ახალის წევრისა უნდა მოხდებოდეს დაფარულის კენჭით.

§ 17. წევრი ამხანაგობისა პასუხის-მგებელია მხოლოდ თავისის წილით.

§ 18. მომატება წილთა რიცხვისა ახლების გამოცემით შეადგენს განსაკუთრებითს უფლებას საზოგადო კრებისას.

§ 19. საზოგადო კრება იქმნების ჩვეულებრივი და საგანგებო.

§ 20. ადგილი და დრო საზოგადო კრებისა უნდა გამოცხადებულ იქმნას გაზეთის საშუალებით, ანუ წევრთ ამხანაგობისას უნდა ეუწყოთ გამგეობისაგან ცალკე ბარათებით.

§ 21. საზოგადო კრება ითვლება

---

*) ჩვენ მრავალ გზით გვთხოვეს ჩვენმა ხელის მომწერლებმა და მკითხველებმა, რომ „შუამავალის“ წესდება დაგვებეჭდა და გავეცნო წესდება დაწვრილებით. ეხლა ვასრულებთ ამ თხოვნას. რედ.

რდები ბევრს ჩემს ტოლს ნასწავლებსაო. ზოგჯერ, თურმე, მდუღარე ცრემლითა სტირის საცოდავი ბავშვი; ამისი ლაპარაკი რომ გაიგონოს ცოტა შეგნებულმა კაცმა, იტირებს, სწავლისათვის იმდენს სჩივის.

იქნება ეს ბავშვი ერთი სასახელო რამე გამოვიდეს, ასახელოს თავისი ძმაცა და თავისი საგვარეულოცა. ხელს რათ უშლის უფროსი ძმა და ყურს არ უგდებს ამ საცოდავ ბავშვსა. იქნება, ერთი ათად გადაუხადოს და ღმერთმა უშველოს. სასიამოვნო იქნესა, რომ ყურადღება მიაქციოს თაკისმა ძმამ ამ ბავშს და დააყენოს კეთილ გზაზედ, აუსრულოს ამ ბავშვს თავისი სურვილი.

მნახველი.

⁂ **ქ. სიღნაღი.** 21 მაისს, ღამე, აქ დიდი ქარი ამოვარდა. სოფელ მაღაროში დალეწა და ძირიანად დაგლიჯა ხეები. მერე მოვიდა იმავე სოფელში იმისთანა სეტყვა, რომ ვენახები და ხის ნაყოფი სრულიად გაახრა. პურის მოსავალს კარგს ამბობენ. ვენახებს ბევრნი სწამლობენ და ვნახოთ, რა ბოლო მოჰყვება.

⁂ **სტეფანწმინდა.** (ხევი) **წყალდიდობისაგან ზარალი.** გამუდმებულის წვიმისაგან ადიდებული მდინარეების ათხრებამაც უბრალოდ არ ჩაიარა და ქართული ანდაზა მოგვაგონა: „მოტეხილს მოსტეხიანო“ ჯერ ისეც სიღარიბით დაჩაგრული მოხევენი ძლივს ეღირსნენ მუშაობის შებმას, და ის იყო სწორედ ათავებდნენ პირნახულის თესვას, როდესაც გაბრაზებული მჴეცივით დაუნდობარი წვიმისაგან ადიდებული „ართხმოს წყალი“ გადმოვარდა კალაპოტიდგან და მთლად წალეკა მის ნაპირას მდებარე სოფ. ახალ-ციხის სახნავი მიწები, და გამოასალმა საცოდავი მოხევენი (მომეტებულად ქერაშვილები) თავის ნაწვავ-ნადაგ პირნახულს.

ეხლა მდინარისაგან მინაზიდი ქვაქვიშით დაფარული ადგილი ვერც-კი იცნობა, თუ სადმე აქ ნახნავი ყოფილაო.

საცოდავი მოხევენი ძლიერ ბევრს ცდილიყვნენ მდინარის პირნახულზედ აცილებასა, მაგრამ ვერაფერს გამხდარან, და, როგორც ადგილობრივი მამასახლისი ამტკიცებს, ზარალი 5000 მანათამდის მიაღწევსო.

ეხლა გულ-ხელ დაკრებილი ახალციხელები სხედან და ფიქრობენ: რითი გამოკვებონ თავიანთი საცოდავი ჯალაბობა.

იაგორ ლუდუშაური.

⁂ **სოფ. შაფი** (აფხაზეთი). **ჭაში დამხრჩვალი.** 17 მაისს, შაბათს, დილის ცხრა საათზედ, აქაურ სოფლის მცხოვრებ სიკო ჯანაშიას, წყალის ამოსატანი სათილი ჩავარდნია ჭაში, რომელსაც სიღრმე თორმეტი მხარი ჰქონია ქვით ამოკირწყლული, განი $1^1/_2$ ალაბი. მისდა საუბედუროდ, ამ ჭაში სათილის ამოსატანად ჩასვლა განუზრახავს ბაწრით. მასთან ცოლი ყოფილა და მეზობელი. ეს ბაწარი, თურმე, დიდის ხნიდან ნახმარი ყოფილა. მოუწყვია ჩასასვლელად ბაწარი და კიდევაც ჩასულა, თავი რომ დამალვია, გაწყვეტილა ბაწარი და ამ თორმეტის მხარის სიღრმეზედ ჩაშვებულა და, სანამდის ძირს მივიდოდა, ისე დამტვრეულა, რომ იმისი ნახვა ყოველ სულდგმულს შეჰზარავდა. როცა ამ ქვესკნელში ჩავარდნილა, უკანასკნელი სიმწრის კვნესა-ოხვრა ამოუშვია.

მაყურებელს მეზობელს ყვირილი აუტეხნია და ვაი-ვაგლახით ესეც ჩაშვებულა შიგ ჭაში სხვა ბაწრით ჯანაშიას მისაშველებლად, მაგრამ, საუბედუროდ, მაგასაც სამის მხარის მანძილი მიჰკლებია ძირამდი, ხელი გაუშვია ბაწრისათვის და ესეც იქ ჩავარდნილა. უნახავს თავისი საყვარელი მეზობელი შიგ უგრძნობლად მჯდარი. წყალი ნახევარი ალაბი ძლივს-ღა ყოფილა. ამოუყვირნია მეზობელს: არიქა მიშველეთო. რასაკვირველია, სანამდის დაიყვირებდა, მანამდიც მიშველებიან. ფიცარი თოკზედ მიუკრავთ და შიგ ჭაში ჩაუშვიათ და, სანამდი ამოიტანდნენ, ექიმი და მღვდელიც მოსულან, მაგრამ ამოტანამდე სული დაულევია. ქვასაც-კი მოალბობს იმისი წვრილ ცოლ-შვილის ტირილ-ქვითინი. განსვენებული ჯანაშია საზოგადოდ გულ-კეთილი და პატიოსანი კაცი იყო. ყველანი გულ-დაწყვეტილნი არიან ამ ამბით.

⁂ **დ. ოჩამჩირე. ფარნა დავითაიას საქმე.** ამას წინად „ახ. მიმოხ.“ დასტამბული იყო წერილი ოჩამჩირედან,—იქაურს ცნობილს ვაჭარს ფარნა დავითაიას ადმინისტრაციის ერთმა აგენტთაგანმა ქუდის მოუხდელობისათვის შეურაცყოფა მიაყენა საჯაროდ და, ბოლოს, ეტაპით სოხუმში გაისტუმრაო. ეს ამბავი ჩვენ გაზეთშიაც გვქონდა თავის დროზე დაბეჭდილი. ახლა იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს სასტიკი ბრძანება გაუცია, ეს საქმე დაწვრილებით გამოიძიეთ და წარმომიდგინეთო. გამომძიებლად დაუნიშნავთ ოჩამჩირის მომრიგებელი შუამავალი ბ-ნი რამევიჩი, რომელიც უკვე მოვიდა ოჩამჩირეში და გამოუძიებია საქმე. დამნაშავეს უთქვამს, როცა შეურაცყოფა მივაყენე დავითაიას, მთვრალი ვიყავიო. ხოლო მოწმეებს და, მათს შორის, ოჩამჩირის მომრიგებელ-მოსამართლეს უჩვენებია, ხუთის წუთის წინად ვხედავდი და ნასვამობისა არაფერი ეტყობოდაო. საქმე სასამართლოში იქნება გადაცემული. ფარნა დავითაიას ინტერესების დაცვას ცნობილი ნაფიცი ვექილი თ. ალ. ქოჩაქიძე ჰკისრულობს. ფარნა დავითაია ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება და გუბერნატორს სარჩელსა სთხოვს, როგორც უმართლოდ დასჯილი. ქუთაისშივე დაბარებულ იქმნა დამნაშავე აგენტი ადმინისტრაციისა ოჩამჩირედან ამ საქმისა გამო.

⁂ **ს. ვაქირი.** (კახეთი) **სამღვდელოების კრება.** ვაქირში 15 მაისს კრება ჰქონდათ სიღნაღის მაზრის მეორე ოლქის საბლაღოჩინოს, მ. ს. ბეგ—შვილის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა სხვა-და-სხვა კითხვები შესახებ სამღვდელოებისა. ამავე კრებაზედ, სხვათა შორის, აღიძრა კითხვა მთლათ მთელ საბლაღოჩინოს წიგნთ-საცავ (ბიბლიოთეკა)—სამკითხველოს დაარსებაზედ. თუმცა გვეგონა, რომ ეს ფრიად სასიამოვნო და ყველასათვის სასარგებლო საგანი ყველასაგან ერთნაირად აღტაცებით იქნება მიღებულიო, მაგრამ მწარეთ მოვტყუვდით: ზოგმა სულ უარი გამოაცხადა სამკითხველო-წიგნთ-საცავის დაარსებაზედ, ზოგმაც ეჭვი გამოაცხადა მის მნიშვნელობაზედ და სარგებლობაზედ. ბევრმაც აღიარა, რომ მკითხველები არ იქნებიან წიგნებისა და თუნდაც, ვსთქვათ, საჭიროც იყოს აუცილებლად, მაინც არ შეუძლიათ წიგნების შეძენა, რადგან ღარიბნი არიან და არ ძალუძთ ფულების გამოღებაო. ჩვენდა სამწუხაროთ, ეს აზრი გამოსთქვეს უფრო მომეტებულად შეძლებულმა მღვდლებმა. მაინც-და-მაინც ეს კეთილი განზრახვა იმითი დაბოლოვდა ხმის უმეტესობით, რომ თვითეულმა კრებულმა უეჭველად წელიწადში ერთხელ გამოიღოს ორ-ორი მანათი და აქედგან შედგენილი საერთო ჯამი მოხმარდეს წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებას. ამავე კრებაზედ გაირჩა წინადადება, თუ რა საშუალებით გაუმკლავდენ და მოსპონ მაგარი სასმელების ხმარება, მრავალგვარი გავრცელებული ცრუ-მორწმუნოება, რომელნიც ისეც გათახსირებულ გლეხის ცხოვრებას უფრო მეტად ათახსირებენ და აქვეითებენ, თუ როგორ დაიხსნან ხალხი მკითხავებისაგან და სხვ. ერთის სიტყვით, ამ კრებაზედ ბევრ საგულისხმიერო საგანზედ იყო ბაასი, რითაც ეს კრება სულ მთლად განსხვავდება წინანდელის, ყოვლად უსარგებლო და უშინაარსო, კრებებისაგან. დიახ, ბევრს საგულისხმიერო და სასარგებლო საგანზედ გახლდათ მსჯელობა და ბაასი მხოლოდ ამ კითხვების განხორციელებაა სბჭირო და სიტყვის საქმეთ ქცევა. ჩვენ, როგორც შევატყვეთ კრებას, სურვილი ბევრს ჰქონდა, მაგრამ მარტო სურვილით არა გამოვა-რა, რადგან „სიტყვა უსაქმოდ მკვდარ არს“!..

⁂ **სოხუმი. ქალაქის საქმენი.** რადგან სოხუმის ხმოსანთა არჩევანის დამტკიცება მეტათ დაგვიანდა და დეპუტატებსაც სამსახურის ვადა დიდიხანია გაუვიდათ, ამისათვის გუბერნიის მთავრობამ მოსწერა აქაურს პოლიციის მმართველობას, რომ დროებით, სანამდე თვით მმართველობა შამოიღებოდეს სოხუმში, ახალ დეპუტატთა არჩევანი მოახდინე ქალაქისთვისაო; თანახმათ მოწერილობისა, 19 მაისს, დაბარებული იყო საზოგადოება ახალ დეპუტატთა ასარჩევად. ეს ამბავი ძრიელ იწყინა აქაურმა საზოგადოებამ და ზოგი ერთი აგრე გაიძახოდა: „თუ სხვას სოხუმზედ უფრო პატარა ქალაქებს-კი უკვე ეღირსათ უმაღლესად ნაწყალობევი თვით მმართველობა და თვითვე ჰზრუნავენ თავიანთს ბედ-იღბალზედ და წარმატებისაკენ მიდიან, ჩვენ, სოხუმლებმა რა დავაშავეთ და ან რა ისეთი დიდი ცოდვა მიგვიძღვის, რომ 1896 წელს თებერვალში მომხდარი ხმოსანთა კანონიერი არჩევანი ჯერაც არ დამტკიცდაო“.

კანონიერად, უკეთუ მას დაესწრება სამი მეხუთედი წილის პატრონთა საზოგადო რიცხვისა.

შენიშვნა: უკეთუ არ შესდგა პირველი კრება, მოწოდებულ უნდა იყოს ორის კვირის შემდეგ მეორე და იგი კანონიერად ითვლება მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დაესწრობა მას წილის პატრონი.

§ 22. საზოგადო კრება ამოირჩევს თავიანთ შორის კრების თავმჯდომარეს, მანამდე-კი მისს თანამდებობას ასრულებს თავმჯდომარე კონტროლისა.

შენიშვნა: თავმჯდომარედ არ ამოირჩევა ის პირი, რომელიც კენჭით არის დანიშნული ამხანაგობის რაიმე საქმეზედ.

§ 23. ჩვეულებრივი საზოგადო კრება უნდა მოხდებოდეს წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს მარტისა.

შენიშვნა: საანგარიშო წელიწადი მიღებულია პირველი იანვრიდგან პირველ იანვრამდე.

§ 24. ჩვეულებრივმა საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს დაწვრილებითი წლიური ანგარიში, წარმოდგენილი გამგეობის მიერ; უნდა განიხილოს და დაამტკიცოს აგრეთვე სავარაუდო ანგარიში მომავალი წლისა; უნდა აღმოარჩიოს ახალი წევრნი ამხანაგობისა; უნდა აღმოარჩიოს გამგეობისა და კონტროლის წევრნი, მათ მაგიერ, რომელთაც ვადა შეჰსრულებიათ და ჯერით თავს ანებებენ.

§ 25. მოგება განაწილდება ამგვარად: 30% მიეთვლება ძირის თანხას, 10% სათადარიგოს 50% მიეცემა დივიდენდათ წილის პატრონთ და 10% მოხმარდება რაიმე საზოგადო სასარგებლო საქმეს.

§ 26. ყოველივე დავა ანუ საცილობელი საგანი წევრთა შორის უნდა გარდასწყვიტოს ამხანაგობის კრებამ და მას მხოლოდ ერთსა აქვს სრული უფლება ყოველისავე მძიმე და საყურადღებო საქმეების გარდაწყვეტისა.

§ 27. ყოველი ახალი საკითხავი, რაც კი წინადვე კრების განსახილველად არა ყოფილა დანიშნული და რაც ჯერ უწინარეს კონტროლს არ განუხილავს, საზოგადო კრებას არ უნდა მოხსენდებოდეს.

§ 28. ყოველივე საქმე საზოგადო კრებაზედ გარდასწყდება ხმის უბრალო უმეტესობით.

§ 29. საგანგებო საზოგადო კრება შეიძლება მოხდეს ყოველთვის, როცა კი განსახილველია საყურადღებო რამ საქმე ამხანაგობისა.

§ 30. საგანგებო საზოგადო კრებებს მოახდენს ყოველთვის კონტროლი ანუ თავისი ნებაყოფლობით ანუ გამგეობის თხოვნით; აგრეთვე უნდა იქმნას მოწვეული კონტროლის მიერ საგანგებო კრება, უკეთუ ამას საჭიროდ სცნობს ერთი მეათედი მოწილეთა საზოგადო რიცხვისა.

§ 31. გამგეობა აწარმოებს ამხანაგობის საქმეებს; აქვს მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება სხვა და სხვა ფირმებთან, პირებთან, დაწესებულებასთან; აქვს მიწერ-მოწერა აგრეთვე ყველასთან, ვინც კი ჯამაგირით თუ უჯამაგიროდ ესახურება ამხანაგობის საქმეებს; მოითხოვს ანგარიშებს განყოფილებათაგან და კონტორებისა, სააგენტოებისა, საწყობებისა და მაღაზიების გამგებელთაგან; ამწესებს და ითხოვს მოსამსახურე პირთ; გამოუწერს წევრთ ამხანაგობისას წილსა და კვიტანციებს; შეადგენს სავარაუდო ანგარიშებსა და გეგმებს თავისის მოქმედებისას, და ყოველის წლის დამლევს წარადგენს საზოგადო კრების წინაშე ანგარიშს წარსულის წლის მოქმედებისას.

§ 32. თანხა თავისუფალი, რომელიც არა ტრიალებს იმ ჟამად აღებმიცემაში, შეაქვს გამგეობას ერთ-ერთ რომელსამე საკრედიტო დაწესებულებაში სახელდახელო ანგარიშით; ისეთი ფული-კი, რაც ყოველდღიურად არის საჭირო, შეიძლება გამგეობას თითონვე ჰქონდეს შენახული.

§ 33. ისეთი საყურადღებო ქაღალდები, როგორც, მაგალითად: ნასყიდობისა, მიყიდვისა (ზაპროდაჟნაია), რწმუნებისა, თამასუქები, ხელშეკრულებანი და სხვანი უნდა ხელმოწერილი იყოს მთელის გამგეობისა და კონტროლის ერთი წევრისაგან; ხოლო უფრო მძიმე საქმეებში თავმჯდომარე გამგეობისა მოიწვევს თავიანთ რჩევაზედ ყველა წევრთ კონტროლისას და იმ კრებებს ეწოდება შეერთებული სხდომა.

§ 34. გამგეობას შეადგენენ თავმჯდომარე და ორი წევრი ანუ დირექტორი, რომელთაც ჰყავთ თავიანთ სანაცვლოები (კანდიტატები); გამგეგეობის თავმჯდომარე, წევრნი და მათი სანაცვლოები ირჩევიან ჯერით საზოგადოების მიერ სამის წლის ვადით.

შენიშვნა: ამხანაგობის დასაწყისში ერთის წლის შემდეგ თავს ანებებს ერთი დირექტორთაგანი, მეორე წლის გასულს—მეორე დირექტორი, მესამე წლის გასულს—თავჯდომარე. ყოველს მათგანს შეუძლიან ხელახლა იყაროს კენჭი იმავე თანამდებობაზე.

§ 35. კონტროლი ამხანაგობისა შესდგება აგრეთვე სამი წევრისაგან, რომელნიც აღმოირჩევიან საზოგადო კრების მიერვე სამის წლის ვადით.

შენიშვნა: რიგი კონტროლის წევრთა აღმორჩევისა იგივეა, რაც გამგეობის წევრთა არჩევანებში.

§ 36. კონტროლი ფხიზლად ადევნებს თვალსა და ყურს ყოველსავე საქმეს, როგორც თვით გამგეობისას, აგრეთვე მის მიერ გამწესებული ხალხისასაც; განიხილავს ყველა წიგნებსა და ანგარიშებს ამხანაგობის საქმეებისას; სინჯავს ყოველსავე შესაძენს ამხანაგობისას უძრავსა და მოძრავს; ჰნიშნავს სხვა და სხვა მაზრებში ადგილობრივ კონტროლს; მოიწვევს საზოგადო კრებებს ჩვეულებრივსა და საგანგებოს; მიიღებს საჩივრებს ამხანაგობის წევრთა და კერძო პირთაგან; თუ, ვინიცობაა, შენიშნავს იგი რამე ბოროტ-მოქმედებას ანუ შეცდომილებას, აცნობებს თავმჯდომარეს გამგეობისას ანუ, თუ საქმე უფრო საყურადღებოდა სცნა, მოიწვევს საგანგებო საზოგადო კრებას.

§ 37. ამხანაგობასა აქვს საკუთარი ბეჭედი ზედ-წარწერით რუსულსა და ქართულ ენაზედ, ამხანაგობის მიერ დაკუთვნებულის გერბის გამოხატულობით.

§ 38. ლიკვიდაცია ამხანაგობისა შეიძლება იქმნას აღსრულებულ, როდესაც წილის პატრონთ, ვისაც სისრულით შეუტანია საწევრო გარდასახადი, საზოგადო რიცხვის სამის მეოთხედის ხმის უმეტესობით იქმნება ეს დადგენილი.

§ 39. შეცვლა და შევსება ამ ხელ-შეკრულობისა შეუძლიან საზოგადო კრებას, როდესაც დამსწრე მოწილეთა (რომელთაც საწევრო გარდასახადი სრულიად აქვთ შეტანილი) სამის მეოთხედის ხმის უმეტესობით იქმნება გარდაწყვეტილი.

დეპუტატთა არჩევანი აღარ მომხდარა, რადგან საზოგადოებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ მოკლე ხანში ქალაქის თვით მმართველობას ველირსებით და მანამდე ისევ ძველი დეპუტატები დავტოვოთ და, როდესაც თვით-მმართველობა ჩაიბარებს ანგარიშებს და საქმეებს ქალაქისას, მაშინ პასუხის მგებელიც სხვასთან ერთად ძველი დეპუტატები უნდა იყვნენო; თორემ, ვინ იცის, რა ნაირად აშლილ-დაშლილია ქალაქის საქმეები და რა უფლება გვაქვს, ძველების ცოდვა ახალ დეპუტატებს მოვკითხოთო!? შემდეგ საზოგადოებამ, ბ. ა. ჯუღელის თაოსნობით, თხოვნით მიჰმართა აქაურს პოლიციის მმართველობას, რომ იშუამდგომლოს ამ უკანასკნელმა ვისთანაც ჯერ არს და დაიჩქარებინოს ხმოსანთა არჩევანის დამტკიცება.

*** **სოხუმი.** შეურგებელი ფული. ამას წინედ აქ კნ. ელ. წერეთლის თაოსნობით წარმოდგენა გაიმართა აქაური იაფ-ფასიან სამკითხველოს სასარგებლოდ; წმინდა შემოსავალიც ცამეტ თუმნამდე დარჩა და ჩვენც მოხარული ვიყავით, რომ სამკითხველოს გავაუმჯობესებთ, მაგრამ ჯერ ეს ვერ მოგვიხერხებია. საქმე ის არის, რომ სამკითხველოსათვის ყველა ქართული გამოცემა არ არის გამოწერილი და რამოდენიმე რუსულიც გვაკლია და ფულები-კი ისევ შენახული უწყვიათ. სხვა რამ ნახარჯიც არის სამკითხველოსათვის და არც ის გაგვისწორებია. ფული კვერცხი ხომ არ არის, რომ კრუხივით ზედ დავაჯდეთ და ვჩეკოთ! დრო არის ეს ფულები თავის დანიშნულებას მოხმარდეს და სამკითხველოს საქმე გაუმჯობესდეს.

სოხუმელი.

თეატრის მატიანე.

საოპერეტო წარმოდგენა. კვირას, საზაფხულო თეატრში, საოპერეტო დასმა ითამაშა სამ-მოქმედებიანი ოპერეტი „მასკოტტი“. ამ წარმოდგენაში მეორედ მონაწილეობა მიიღო ქ. ჩოსნოვსკისამ (ბეტტინა) და მართლაც რომ აღტაცებაში მოიყვანა ხალხი მისმა მოხდენილმა თამაშმა, სახის საოცარმა მიხვრა-მოხვრამ და ფრიად სასიამოვნო სიმღერამ. ტაშის ცემა და „ვაშა“ არ გაწყნარებულა.

ფრიად სასიამოვნოდ იმღეროდა ბ. სავინიც (პიპო-მწყემსი.) რამოდენიმე სასიმღერო ადგილები გაამეორებინეს ამ ორს მომღერალს. სხვა მოთამაშენიც ხელს უწყობდნენ მათ, განსაკუთრებით საუცხოვონი იყვნენ: ბ. ბოგდანოვი (როკკო—მებაღე) და ბრაგინი (ლორან XVIII—ჰერცოგი).

ხალხი დიდ-ძალი დაესწრო და ყველანი ნასიამოვნები დარჩნენ.

დღეს იგივე საოპერეტო დასი ნიჭიერის მომღერალის ქ. შერის საბენეფისო წარმოდგენას გაჰმართავს. ითამაშებენ ცნობილს სამ-მოქმედებიან ოპერეტტას „ჰაჯი-მურად“-ს და იმედია ტფილისის საზოგადოება, რომლის ყურადღებაც საკმაოდ დაიმსახურა მობენეფისემ, ბლომად დაესწრება ამ წარმოდგენასაც.

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

25 მაისი

ლამია. მემკვიდრე პრინცმა, როგორც მთავარ-სარდალმა საბერძნეთის ხმელეთისა და ზღვის ჯარისამ, მოაწერა ხელი დროებით შერიგების ხელ-შეკრულობაზე. ამ ხელ-შეკრულობის ძალით ოსმალებს ნება ეძლევათ ჯარისთვის სურსათი გაატარონ დროებით საზღვრის მახლობლად მდებარე ნავთ-სადგურებზე, იმ პირობით-კი, რომ ხსენებული გემები გასინჯულ იქმნას ევროპის სახელმწიფოთა ელჩების მიერ. საბერძნეთის გემებს ნება დაერთო არტის ყურეში შესვლისა.

ლონდონი. „ტაიმს“-ს ტეპეშით ატყობინებენ ათინიდგან, რომ მას შემდეგ, რაც საბერძნეთის მთავრობამ შეატყობინა ოსმალეთის სურვილი ბლოკადის მოსპობის შესახებ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, ამ უკანასკნელთ, ერთის წარმომადგენლის გარდა, ურჩიეს საბერძნეთს აღასრულოს ეს სურვილიო. ავსტრიის წარმომადგენელს ჯერ არ მიუღია ინსტრუქციები მთავრობისაგან, მაგრამ მალე მიიღებს და უთუოდ ისეთსავე, როგორც სხვებიო.

ათინა. ოსმალეთის და საბერძნეთის წარმომადგენელთ ხელი მოაწერეს ხელშეკრულობაზე, რომლის ძალითაც მიღებულია დროებით შერიგება ზღვაზე.

ბუქარესტი. მემკვიდრე პრინცის ავადმყოფობისაგან მორჩენა თან და თან უკეთ მიდის. შიში აღარაფრისაა.

სტამბოლი. 24 მაისს, დილით, მოხდა ელჩთა მოლაპარაკება; ნაშუადღევს მეორე სხდომა იყო, რომელზედაც ზავის ჩამოგდების შესახებ იყო ლაპარაკი. ხმები, ახალი ჯარის შეიარაღების შესახებ, ტყუილი გამოდგა.

საღამოს დეპეშა

26 მაისი.

კონსტანტინეპოლი. დაბეჯითებ თ ამბობენ, რომ 24 მაისის კრებას ელჩებმა წარუდგინეს მოხსენება შესახებ თესალიის განსაზღვრისა და სამხედრო ჯარიმის რაოდენობისა. ასე ამბობენ, ჯარიმა 4,000,000-ს ას აღემატებაო.

ვაურონი. ქარიშხალმა მრავალი ბამბისა, აბრეშუმისა და ტილოს ქარხანა დააქცია. წყალმან აღლამდე იმატა. ზარალი 10 მილიონამდეა. 4,000 მუშა უსაქმოდ დარჩა.

პეტერბურგი. 25 მაისს, ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულის დაბადების დღეს, პეტერგოფში, ალექსანდრიის აგარაკის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა. დაესწრენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდნი მთავრინანი და დიდნი მთავარნი. პეტერბურგში, ისააკის ტაძარში წირვის შემდეგ მიტროპოლიტის პალადისა და მთავარეპისკოპოსთა მიერ გარდახდილ იქმნა პარაკლისი. მრავალ ჟამიერის წარმოთქმის დროს პეტრე-პავლეს ციხიდგან ზარბაზნები დასცალეს.

პეტერბურგი და პეტერგოფი დღისით ბაირაღებით იყო მორთული; საღამოთი გაჩირაღდნებული.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ დამატებითი არჩევანები ხმოსნებისა, 1897—1901 წლებისთვის, **მოხდება კვირას, 1 თიბათვეს ამა წლისა, საარჩევნო კრებაზედ,** რომელიც დანიშნულია „ტფილისის საკრებულოს“ (სობრანიის) საზაფხულო სადგომში, მიხეილის ქუჩაზედ, თაიროვის ბაღში.

კენჭი შეუძლიანთ იყარონ როგორც იმათ, ვინც გამოაცხადა სურვილი ხმოსნობისა 18 მაისამდე და არ იყვნენ არჩეულნი, გარდა იმათი, ვინც უარი განაცხადეს, აგრეთვე იმათ, ვინც გამოაცხადებს ხმოსნობის სურვილს დამატებითს არჩევანებამდე, ე. ი. 1 თიბათვემდე 1897 წლისა. (3—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველაოდ, რომ 28 მაისს, ამა 1897 წლისა, ნაშუადღევის 1 საათზედ, ქალაქის გამგეობის სახლში, ერევნის მოედანზედ, მოხდება ვაჭრობა ქალაქის ქუჩების და მოედნების ნავთით განათების იჯარაზედ. ვადა იჯარისა 2 წელიწადია, 4 თიბათვიდამ 1897 წლისა.

იჯარის პირობები შეიძლება მსურველმა შეიტყოს გამგეობის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა უქმეებისა, 11 საათიდამ 1 საათამდე.

(3—2)

ამიერ კავკასიის რკინის გზა.

მატარებელის ახალი მიმოსვლა 6 მაისიდგან.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 15 წ. მიდის ბათომში საღ. 8 ს. 48 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 9 ს. 34 წ. მიდის ბაქოში 1 ს. 2 წ. დღის.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 7 ს. 45 წ., მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 34 წ.

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 4 ს. 1 წ. მოდის თბილისში 8 ს. 30 წ. დილ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 8 ს. 45 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 45 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. მოდის თბილისში საღ. 7 ს. 10 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის საღამოს 8 ს. 35 წ., მოდის თბილისში დილ. 9 ს. 11 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის დღისით 11 საათ. მიდის ბაქოში დილით 6 ს.

Учебикъ
ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА
для русскихъ,
сост. М. Насидзе.
Цѣна 50 к.
Продается въ Центральной книжной торговлѣ въ Тифлисѣ и въ кн. магаз. „Общества распостр. грам.“.
(10—8)

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნებართვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქურუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში).

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავალის“ მაღაზიაში.

ქუთაისში: ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლაღიძესთან.

ბათომში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან და დოქტორ ვოლსკისთან.

ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან და იაკობ ფანცხავასთან.

ოზურგეთში: კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში“.

საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.

ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.

ყვირილაში (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

წიფაში: კირილე ხარაძესთან.

ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.

სენაკში: ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან და სამ. ყიფიანთან.

ონში: თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.

განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.

ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.

კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.

ხონში: ივანე შარაშიძესთან.

გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.

სიღნაღში: დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან

ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.

ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.

ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

მოლითში: პავლე გურცხალიასთან.

ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(20—5) «კრებულის» რედაქტორი **აკაკი.**

„ალმოსავლეთის მაღაზია“
ძმათა მერკვილაძეთა
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სემინარიის პირდაპირ.
ისყიდება ნამდვილი ჩინეთის
ჩესუნჩა და ფანზა
იაპონიის აბრეშუმეულობა, ქართული დარაიები, შალეულობა და სხვა ნივთები.
მაღაზიას აქვს საუკეთესო სამკერვალო ჩვენებურ ტანისამოსისა.
ფასები ზომიერია!
ფასები ზომიერია!
(15—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Мая 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი მალ. გუნია.